საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგია:

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ლ. თ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.06.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 035/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ბ.-ს /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 06 ივნისს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. თ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ი. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მამამთილს - ა. მ.-ს, რომელიც დღეის მდგომარეობით გარდაცვლილია, ბრალი ედებოდა მოქალაქე გ. ო.-ის მკვლელობაში, დანაშაული გათვალისწინებული სსსკ-ის 108 მუხლით. ამ საქმის ფარგლებში, მამამთილის ინტერესის დასაცავად, ის 2019 წელს ინტერნეტის მეშვეობით დაუკავშირდა ადვოკატ ი. ბ.-ს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მის ოჯახს მისცა სიმართლის დადგენის გარანტია. ადვოკატისაგან მიიღეს ინფორმაცია, რომ ამ საქმეში ა. მ. იყო უდანაშაულო. რადგან ადვოკატს მისი ოჯახი ენდო, ადვოკატმა ხელშეკრულების გარეშე დაიწყო მომსახურების გაწევა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს გადასცა მომსახურების თანხა - 3000 ევროს ოდენობით. თანხა გადაიხადეს იმ პირობით, რომ მის მამამთილს ადვოკატი გაათავისუფლებდა. გათავისუფლების ნაცვლად, ა. მ. გადაიყვანეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. მისმა მამამთილმა ვერ გაუძლო უსამართლობას და 83 წლის მოხუცი რვა თვის შემდეგ ამ

დაწესებულებიდან მომაკვდავი წამოიყვანეს სახლში, სადაც გარდაიცვალა იმაზე დარდით, რომ თავისი სიმართლე ვერ დაამტკიცა.

1.5 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატმა სიმართლის დასადგენად არაფერი გააკეთა, რის გამოც მას უნდა დაუბრუნოს მიღებული საადვოკატო მომსახურების თანხა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ი. ბ.-მ 2021 წლის 24 ივნისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ 2019 წელს იცავდა ბრალდებულ ა. მ.-ის ინტერესებს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, გამოძიების მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ მის კლიენტს გააჩნდა ფსიქიკური პრობლემები და ეს პრობლემები სწრაფად პროგრესირებდა: სასამართლო სხდომების დროს ის ვერ იძლეოდა ადექვატური პასუხებს იმათან დაკავშირებით თუ სად იმყოფებოდა, ვინ გარდაიცვალა, რატომ, მან რა მოიმოქმედა და ა.შ. სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ მისი კლიენტი შეურაცხადად ცნო, მის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა და იძულებითი მკურნალობის მიზნით გადაიყვანეს ერთ-ერთ ფსიქო-ნევროლოგიურ დაწესებულებაში.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ ის ადვოკატად დაიქირავა ჯ. მ.-მა, გარდაცვლილი კლიენტის შვილმა, რომელსაც მის მიმართ პრეტენზია არ აქვს. ადვოკატი მიიჩნევს, რომ კლიენტის ინტერესები დაიცვა სრულყოფილად.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მას კლიენტისა და მისი ოჯახისათვის საქმის შედეგის შესახებ გარანტია არ მიუცია.

2.5 2021 წლის 15 სექტემბრის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ კომუნიკაცია ჰქონდა საჩივრის ავტორთან, ლ. თ.-თან, მაგრამ უშუალოდ საადვოკატო მომსახურების პირობებზე და ფარგლებზე შეუთანხმდა კლიენტის შვილს - ჯ. მ.-ს. ლ. თ.-თან კომუნიკაცია გამოწვეული იყო იმით, რომ კლიენტის შვილს ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემა.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ საქმე დასრულდა - კლიენტის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა, ამის შესაბამისად მიიჩნევს, რომ საადვოკატო მომსახურების ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება არ წარმოშობია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ი. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ლ. თ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 06 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2019-2020 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. ბ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9(1) მუხლის „გ" პუნქტის საფუძველზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-6 მუხლით დადგენილი დანაწესი. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ,,ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე".

5.2 განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის მე-6 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა - საჩივრის ავტორი ადვოკატი არ არის; ასევე, სახეზე არ არის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევები. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ საჩივრის ავტორის პრეტენზია შეაფასა დებულების მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტის ფარგლებში.

5.3 დებულების მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტი იმ პირს ანიჭებს ეთიკის კომისიისათვის მიმართვის უფლებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. კომისიის პრაქტიკით, აღნიშნული უფლება გულისხმობს იმ პირის უფლებამოსილებას, რომლის წინაშეც ადვოკატს გააჩნია პროფესიული ვალდებულებები და პირს შესაძლოა გააჩნდეს პრეტენზია ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან მისი შესრულების ხარისხის შესაბამისად. კოლეგიამ, ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ ადვოკატ ი. ბ.-ს კლიენტს წარმოადგენდა აწ გარდაცლილი ა. მ., ხოლო მის დასაცავად ის დაიქირავა კლიენტის შვილმა - ჯ. მ.-მა. მომჩივანმა მართალია გადაიხადა ადვოკატის მომსახურების საფასური, თუმცა ადვოკატს მის მიმართ პროფესიული ვალდებულები არ გააჩნია.

5.4 იმისთვის, რომ კოლეგიამ შეაფასოს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გაწეული მომსახურების კვალიფიციურობა, გარანტიის მიცემა, ასევე გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება, საჭიროა უშუალოდ კლიენტის პოზიცია, თუ რაზე შეთანხმდნენ ის და ადვოკატი, ხოლო შემდეგ ამ შეთანხმების ფარგლებში, რა მოცულობის მომსახურება გაუწია მას ადვოკატმა. უშუალო კლიენტი გარდაცვლილია, ხოლო გარდაცვალებამდე, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა - ანუ საქმე დასრულდა.

5.5 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად."

5.6 განსახილველ შემთხვევაში, შეუძლებელია მომჩივანის პრეტენზიის შეფასება ადვოკატის მიმართ, რადგან კოლეგიისათვის უცნობია ადვოკატის კლიენტის ან ხელშემკვრელი მხარის - კლიენტის შვილის პოზიცია.

5.7 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №035/21 ადვოკატ ი. ბ.-ს მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/